

## საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ანგარიში

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით მე კობა ჯიქია, როგორც საკრებულოს წევრი და ამავე დროს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვალდებული ვარ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ ამომრჩეველს ჩავაბარო. ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულება მიღებული ნდობის შენარჩუნება. ვარ ქართული „ოცნება“ დემოკრატიული საქართველოს წევრი. ჩემი საქმიანობის ამოცანა პოლიტიკური პროცესების მართვაში მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღება. მოსახლეობის საქმის მაქიმალური ინტერესების გათვალისწინებით.

კანონიერება, საჯაროობა, კოლეგიალურობა, ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი და მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულება - ეს ძირითადი მიმართულებებია, სწორედ ამ პრინციპებს დაცვითა და საკრებულოს განსაზღვრული უფლებამოსილების შესრულებით იწყება თითოეული ჩემი სამუშაო დღე.

საკრებულოს მუშაობის უფლებამოსილების განხორციელება ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტებს. ადგილობრივი თვითმმართველობი კოდექსის 36 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, როგორც თანამდებობის პირმა ავიღე პასუხისმგებლობა საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით: საკრებულოს ბიუროს სხდომების ორგანიზებაზე, საკრებულოს კომისიების მუშაობის, საკრებულოს კომისიებისა და გამგეობის შესაბამისი სამსახურების ურთიერთობათა კორდინაციაზე, საკრებულოს კომისიებისა და აპარატის კორდინირებულ მუშაობაზე, საკრებულოს და მოსახლეობის ურთიერთკავშირის ხელშეწყობაზე. ვარ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი, სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, საპატიო ჩხოროწყუელის წოდების მინიჭების სამუშაო ჯგუფის წევრი (მერის ბძ); ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების დამდგენი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. რაც უფრო მეტი მოქალაქეა ჩართული თვითმმართველობის განხორციელებაში მით უფრო მაღალია თვითმმართველობის განხორციელების ხარისხი. მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა სისტემატიურად მქონდა და მაქვს ყოველკვირეული შეხვედრები მოსახლეობასთან, საკრებულოს თავმჯდომარის, მერიის შესაბამისი სამსახურების, მაჟორიტარების ერთობლივი მონაწილეობით. აქტიურად ჩართულია მუნიციპალიტეტის მერი თითქმის ყველა შეხვედრაზე, რომლის ამსახველი ფოტომასალა განთავსებულია, როგორც საკრებულოს, ასევე მერიის ვებ-გვერდზე. საკრებულოს წევრებთან ერთად აქტიურად ვმონაწილეობთ მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროექტების განხილვაში. მთავარი ფინანსური დოკუმენტის-ბიუჯეტის ფორმირებაში. პერიოდულად ვისმენთ მერიის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სამართლის იურიდიული პირების გაწეული მუშაობის ანგარიშებს, ვაძლევთ რეკომენდაციებს და ერთობლივად ვსახავთ გეგმებს.

2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები არის:

ა) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და პროექტირება.

ბ) განათლების ხელშეწყობა.

გ) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

დ) კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სხვა...

პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა ისეთ ადგილებში, სადაც არასოდეს იყო ასვალტირებული გზები. ეს შუქცევადი პროცესია მუნიციპალიტეტში.

მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ხორციელდება, როგორც ახალი ბაღების მშენებლობა, ასევე ძველი შენობების რეაბილიტაცია.

თვითმართველობა არსებული რესურსების და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალური პროგრამების დაფინანსებას გაწერილი პროგრამებით, რომელიც ყოველ წლიურად იანვრის თვეში საკრებულოს მიერ ხდება დამტკიცებული საჯაროების სრული დავით.

მე წამოვადგენ საკრებულოში უმრავლესობას ჩემს კოლეგებთან, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად. უშუალოდ ვესაუბრები მოსახლეობას სოფლების მიხედვით, სწორედ ასეთი მიდგომებით, დამოკიდებულებით ვცდილობთ გავხადოთ ყველა პროცესი გამჭვირვალე, რომელიც მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. თვითმართველობა არის ხალხთან ყველაზე ახლო მდგომი ხელისუფლება, რაც ვალდებულებებთან ერთად დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, მოსახლეობასთან სისტემური შეხვედრები, მაჟორიტარებთან ერთად ყველა იმ პრობლემების იდენტიფიცირებას უწყობს ხელს, რომელიც ჩვენს მიერ გათვალისწინებულ იქნეს მომავალი 2020 წლის ბიუჯეტში.

მოგეხსენებათ ჩვენს მუნიციპალიტეტში მთავარი კულტურაა თხილი, ამ მიმართულებით აქტიური კამპანია იყო გაჩაღებული გუბერნატორის თანამონაწილეობით. მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, მაჟორიტარები, სოფლის წარმომადგენლები თხილის ასოციაციასთან ერთად მუდმივ რეჟიმში ხვდებოდნენ მოსახლეობას, ამან შედეგი გამოიღო. შარშანდელთან შედარებით უკეთესი მოსავალი იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის ზედა სოფლებში. ხოლო ქვედა სოფლებში: ლესიჭინე, კირცხი, ქვედა ჩხოროწყუში ვერ მივიღეთ მოსავალი გვავლების შედეგად. ბოლო წლებში შეინიშნება წყლის დეფიციტი, რაც მომავალ წლების სამოქმედო გეგმაში მთავარი პრიორიტეტი იქნება საგზაო ინფრასტრუქტურასთან ერთად.

ცენტრალური ხელისუფლება ადგილობრივ ხელისუფლებასთან კორდინაციას ახდენდა ფაროსანასთან ბრძოლაში. შეიძლება ითქვას საგრძნობლად შემცირდა პოპულაცია, რასაც სპეციალისტთან ერთად მოსახლეობაც ადასტურებს და ეს რეალობა თვითოეული ჩვენთაგანისათვის -ეს პოზიტივი აისახა სიმინდის ფართობებზე. მიმდინარე წელი ამ კუთხით შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს.

მაჟორიტარები, სოფლის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად მუშაობდა სტიქიის პრევენციის საკითხებში მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად, ამ კუთხით მოზიდული იქნა ცენტრალური ბიუჯეტიდან სოლიდური თანხები. ეს ყველაფერი მუნიციპალიტეტის ყველა რგოლის კორდინირებული მუშაობის შედეგია.

აქვე მინდა დავძინო, რომ წლის ბოლომდე 5 ამბულატორია და გადაუდებელი დახმარების ცენტრი აშენდება. დანარჩენი ამბულატორიების აშენება მომავალ წელს გაგრძელდება. უფრო დაწვრილებით კოლეგების ანგარიშებში იქნება წარმოდგენილი.

საკრებულო და მერია ერთ გუნდად ჩამოვყალიბდით , რომლებმაც დიალოგის, კამათს, ურთიერთ გაზიარების საფუძველზე მივიღეთ ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც ნორმატიული აქტების სახეს იღებენ, რაც შემდგომში მუნიციპალიტეტის მერია ეფექტურად ანხორციელებს.

მუნიციპალიტეტში კვლავ ბევრი პრობლემა რჩება მოსაგვარებელი. მჯერა 2020 წლის ბიუჯეტი უკეთესი იქნება 2019 წლის ბიუჯეტზე და ეს პროცესს ყოველწლიურად იზრდება, ახალი ინიციატივებით ურთიერთ თანამშრომლობაზე აგებული საქმიანობით. ეტაპობრივად ყველა სოფელში მოვაწესრიგებთ ინფრასტრუქტურას, ხელს შევუწყობთ განათლებას, გავაუმჯობესებთ სოციალურ გარემოს. ჩვენი მთავრობა ორიენტირებულია ხალხზე და არ გაურბის პასუხისმგებლობას, დარწმუნებული ვარ შედეგი იქნება თვალსაჩინო განხორციელებული პროექტებით.

კობა ჯიქია

31 .10.2019 წელი